



განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი



მთავარი ჩვენ შესახებ სისტემა ავტორიზაცია აკრედიტაცია მომსახურება რეესტრი მობილობა გრიფირება Worldskills ENG

მობილობის ვადები

წესი/პროცედურა

ვაკანტორი ადგილები

სტუდენტების რეგისტრაცია

შედეგები

ხშირად დასმული შეკითხვები - FAQs

მგზა

წესი/პროცედურა

1. რა ვადაში უნდა დაერეგისტრირდე მობილობის მსურველად?

მობილობის პროცესი წელიწადში ხორციელდება ორჯერ შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრში ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში.

2. ვის აქვს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის უფლება?

მობილობის მსურველად რეგისტრაციის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხა კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეგისტრირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა შესაბამის საფეხურზე სწავლის ერთი წლის შემდეგ, გარდა იმ დაწესებულებების სტუდენტებისა, რომლებსაც გაუუქმდათ ავტორიზაცია. სწავლის პერიოდში არ განიხილება დრო, რომლის განმავლობაში სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტატუსი.

3. აქვს თუ არა მობილობის უფლება სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული ან შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი?

სტუდენტს, რომელსაც შეუწყდა სტუდენტის სტატუსი, მობილობის უფლება აქვს სტატუსის შეწყვეტიდან 12 თვის განმავლობაში. საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემებში სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გამოვლენის შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია, მოსთხოვოს სტუდენტს ან დაწესებულებას სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

2000 წლის 5 თებერვლიდან 2010 წლის 5 თებერვლამდე ყველა გარიცხული/ამორიციხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად და უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით გარიცხვის/ამორიციხვის ბრძანების თარიღიდან 10 წლის განმავლობაში.

4. როგორ მოვიქცე თუ მობილობის მსურველის მონაცემები არ მოიძებნა რეესტრში?

თუ სტუდენტი არ არის რეესტრში დარეგისტრირებული, მობილობის განსახორციელებლად მან უნდა მიმართოს იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც სწავლობს (საიდანაც გაირიცხა/ამორიციხა) და მოითხოვოს საკუთარი მონაცემების რეესტრში დაფიქსირება.

თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც სტუდენტი ირიცხება, აღარ არსებობს (ლიკვიდირებულია), მობილობის მსურველთა რეგისტრაციის ვადის განმავლობაში სტუდენტმა რეესტრში რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. ამ შემთხვევაში აუცილებელია სტუდენტის პირადი საქმის (ატესტატის, ჩარიცხვის ბრძანების, აკადემიური ცნობის ან კურსიდან კურსზე გადაყვანისა და ამორიციხვის ბრძანებათა დამოწმებული ასლები) ცენტრში წარმოდგენა.

5. როგორ განვახორციელო ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაცია?

ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია ხდება სტუდენტის თერთმეტნიშნა პირადი ნომრით, რომლის საშუალებითაც სტუდენტი ქმნის მომხმარებლის სახელსა და პაროლს და შესაბამის პროფილს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის შესახებ რეესტრში ასახულ მონაცემებში უზუსტობას აღმოაჩენთ, მიმართეთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელშიც ირიცხებით.

6. როგორ დავარეგისტრირო ჩემი არჩევანი?

რეგისტრაციის შემდეგ პორტალზე აისახება მობილობის პროცესში მონაწილე დაწესებულებების მიერ რეგისტრირებული ადგილები ფაკულტეტების /პროგრამების მიხედვით.

არჩევანის რეგისტრაციისათვის მონიშნეთ სასურველი ფაკულტეტი/პროგრამა და რეგისტრაციის დილაკზე დაჭერით დააფიქსირეთ თქვენი არჩევანი.

მობილობის მსურველს უფლება აქვს, აირჩიოს არა უმეტეს 5 ფაკულტეტი ან პროგრამა.

ყურადღება მიაქციეთ პრიორიტეტების განსაზღვრას! - პირველ არჩევანად დააფიქსირეთ ყველაზე სასურველი პროგრამა, შემდეგ მეორე, მესამე და ა.შ.

თითოეული პროგრამის არჩევანი დაარეგისტრირეთ ცალ-ცალკე, დარწმუნდით მობილობის მსურველის სარეგისტრაციო განაცხადის ფანჯარაში არჩეული პროგრამების სწორ განლაგებაში, შეცდომის დაშვების შემთხვევაში ელექტრონული პორტალი საშუალებას გაძლევთ შეუზღუდავი რაოდენობით მოადინოთ თქვენს მიერ არჩეული ფაკულტეტების/პროგრამების რედაქტირება.

7. რა შემთხვევაში ჩაითვალება ჩემი არჩევანი რეგისტრირებულად?

თქვენი არჩევანი ჩაითვალება რეგისტრირებულად იმ შემთხვევაში, თუ გადაიხდით ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის საფასურს, რომელიც შეადგენს 40 ლარს. საფასურის გადახდა შესაძლებელია ონლაინ-რეჟიმში ან სს „საქართველოს ბანკში“.

გაითვალისწინეთ, რომ თანხის გადახდის შემდეგ ისევ გექნებათ არჩეული ფაკულტეტების /პროგრამების რედაქტირების საშუალება.

8. რა შემთხვევაში თავისუფლდება სტუდენტი მობილობის საფასურისგან?

მობილობის საფასურის გადახდისაგან თავისუფლება სტუდენტი, რომლის:
ა) საგანმანათლებლო დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია;
ბ) ოჯახი, მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის პერიოდში

რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს.

9. რა შემთხვევაში უბრუნდება სტუდენტს მობილობის რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასური?

- ა) მობილობის რეგისტრაციისთვის გადახდილი საფასური (40 ლარი) სტუდენტს სრულად დაუბრუნდება, თუ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ აღმოჩნდება, რომ დაინტერესებული პირი არ არის რეგისტრირებული.
- ბ) თუ საფასური გადახდილია დადგენილ განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადახდელს უბრუნდება სხვაობა. საფასურის დაბრუნების წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი უნდა იქნეს საფასურის გადახდიდან 3 თვის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური არ ბრუნდება. ამ ვადის გაგრძელება ან გაშვებული ვადის აღდგენა დაუშვებელია. საფასური დაბრუნდება დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

10. როგორ შევავასო კონკრეტულ დანესებულებაში ჩემი ჩარიცხვის შესაძლებლობა?

მობილობის პორტალი გიჩვენებთ თითოეულ ფაკულტეტსა თუ პროგრამაზე პირველი პრიორიტეტით ჩარიცხვისათვის აუცილებელ მინიმალურ საკონკურსო ქულას, რომელიც შეესაბამება ამ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის შესაბამისი კონკურსანტების ქულებისგან უმცირესს. შესაბამის პროგრამაზე მოხვედრისათვის თქვენი საკონკურსო ქულა უნდა აღემატებოდეს პორტალზე ასახულ მინიმალურ საკონკურსო ქულას.

გაითვალისწინეთ! - მონაცემები მინიმალური საკონკურსო ქულის შესახებ დინამიკურია და შეიძლება შეიცვალოს ამ პროგრამაზე ახალი მობილობის მსურველების რეგისტრაციისას.

გაითვალისწინეთ! - მობილობის უფლებასტუდენტს მიენიჭება მის მიერ მითითებული პრიორიტეტების გათვალისწინებით. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის უფლებას პირველ რიგში მოიპოვებენ მობილობის ის მსურველები, რომლებსაც აღნიშნული დაწესებულება პირველ პრიორიტეტად აქვთ მითითებული, დარჩენილი ადგილები განაწილდება მეორე, მესამე და ა.შ. პრიორიტეტებით რეგისტრირებული განაცხადების შესაბამისად.

11. რა შემთხვევაში უნარჩუნდება სტუდენტს სასწავლო/ სახელმწიფო სასწავლო გრანტი მობილობისას?

სტუდენტს მიმღებ დაწესებულებაში სახელმწიფო სასწავლო გრანტი და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტი გადაყვება მხოლოდ აკრედიტებულ პროგრამაზე გადასვლის შემთხვევაში.

12. როგორ დავადგინო, მოვიპოვე თუ არა მობილობის უფლებას?

დადგენილ ვადაში პორტალზე გამოქვეყნდება იმ პირთა სია, რომლებმაც მოიპოვეს მობილობის უფლება.

გახსოვდეთ! - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები სტუდენტების ჩარიცხვასთან დაკავშირებით (გამოცდა, შემოქმედებითი ტური, გასაუბრება და ა.შ) ან შეზღუდოს კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება კონკრეტული პირობით (სწავლების წელი, ათვისებული კრედიტების რაოდენობა და ა.შ.)

დამატებითი მოთხოვნების არსებობა აისახება ელექტრონულ პორტალზე, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შენიშვნების გრაფაში.

13. როგორ ჩავირიცხო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის საფუძველზე?

ელექტრონული პორტალის მონაცემების მიხედვით მობილობის უფლების მოპოვების შემთხვევაში, სტუდენტმა დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს განცხადებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას და წარადგინოს პირადი საქმის ასლი.

მობილობის პროცედურა ყველა სტუდენტის უფლებაა, რომელიც შეუზღუდავად უნდა რეალიზდებოდეს. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ეკრძალება ხელი შეუშალოს სტუდენტების მობილობას, ნებისმიერი საფუძვლის, მათ შორის სტუდენტთან კონფლიქტი დავის არსებობის შემთხვევაში.

მობილობის პროცესში შექმნილ შეკითხვებთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელექტრონულ მისამართზე: mobility@eqe.ge

